გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტის ტექნიკური დავალება

I. შესავალი

საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახით, დაიწყო შედეგებზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) განხორციელება. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის და განვითარების საეთაშორისო ბანკს ((IBRD) მსოფლიო ბანკი) შორის 2016 წლის 28 მარტს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით.

სასესხო ხელშეკრულების მე-2 ნაწილის მე-2 მუხლის C.1-3 პუნქტების თანახმად, საქართველოს მთავრობამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს პროექტის დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეფასება პროექტის დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების გზით. პროექტის განხორციელების მეექვსე წელს, რომელიც მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. აუდიტს ჩაატარებს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

II. დავალების მიზანი

წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტის მიერ გასაწევ მომსახურებას. დავალების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროექტის ფარგლებში გარემოსა და სოციალური კუთხით განხორციელებული ღონისძიებების აუდიტის ჩატარებას, რომელიც უნდა მოიცავდეს პერიოდს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

III. მომსახურების აღწერა

გარემოსა და სოციალური საკითხების ექსპერტს დაევალება შემდეგი საკითხების შესრულება:

ა) “A” დანართში მითითებული სამუშაოების კონტრაქტების შემოწმება, რათა დადგინდეს მოიცავს თუ არა საკონტრაქტო დოკუმენტაცია დამკვეთის (საავტომობილო გზების დეპარტამენტი) გარემოსა და სოციალური მართვის გეგმას;

ბ) ზედამხედველების მიერ საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის წარდგენილი ყოველთვიური ანგარიშების განხილვა (2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით), რათა დადგინდეს კონტრაქტორების მიერ გარემოსა და სოციალური კუთხით შესრულებული სამუშოების შესახებ ანგარიშებში ასახული რეალური ინფორმაცია;

გ) სამუშაოების კონტრაქტების ფარგლებში იმ სამშენებლო ობიექტების მონახულება, სადაც აქტივობები მიმდინარეობდა 2022 წლის 1 იანვრიდან 31

დეკემბრის ჩათვლით პერიოდში და აღნიშნულის ანგარიშში ასახვა იმ შემთხვევაში, თუ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე იკვეთება (i) სამშენებლო მასალების და ნაყარის უწესრიგო განთავსება სამშენებლო უბნებსა და მის გარშემო ტერიტორიაზე, (ii) ან მცენარეების და ახლომდებარე ინფრასტრუქტურის დაზიანება (სარწყავი არხები, ელექტროგადამცემი ხაზები, ადგილობრივი გზები და სხვა), რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საგზაო სამუშაოებით, აქტიური ეროზიით/ჩამოჭრილი ფერდობების ჩამოშლით, (iv) საგზაო უსაფრთხოების ნიშნებისა და მოწყობილობების (უსაფრთხოების ბარიერები, შეზღუდვის და გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები და სხვა) მნიშვნელოვანი დაზიანებით ან არარსებობით, (v) სამშენებლო ობიექტების მიმდებარედ განთავსებული სახლები/ნაგებობები, რომლებთან მისვლა არ არის უსაფრთხო და/ან მოიცავს აშკარა დაზიანებებს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს საგზაო სამუშოებით და (vi) სამშენებლო უბანზე უსაფრთხოების წესების აშკარა დარღვევა (მუშები შუქამრეკლი ჟილეტების, შესაბამისი ფეხსაცმელის, ჩაფხუტის და სხვა პერსონალური დაცვის მოწყობილობების გარეშე);

დ) დადასტურება, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტში არსებობს გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების ნუსხა;

ე) დადასტურება, რომ კონტრაქტებისთვის ფუნქციონირებს საჩივრების განხილვის მექანიზმი, მათ შორის, დანიშნულია ამ საკითხებზე საკონტაქტო პირები, მოხდა ინფორმაციის გასაჯაროება და საჩივრების განხილვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო ინფომაცია ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისთვის; როგორც კონტრაქტორების და/ან ზედამხედველის, ისე საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაცულია საჩივრების ნუსხა. უნდა მოხდეს დადასტურება, რომ საჩივრების ნუსხაში შეტანილია საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საჩივრები გადაჭრილია ან გადაჭრის პროცესშია, ხოლო გადაუწყვეტელი საჩივრების შემთხვევაში, დასახულია მკაფიო ნაბიჯები რომლის გადადგმასაც აპირებს დეპარტამენტი;

ვ) რაჭის რეგიონში კლიმატური ღონისძიებების განხორციელების სტატუსის შემოწმება;

ზ) ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს, იმ საკითხების გასაუმჯობესებლად, რომლებიც პრობლემურია და გამოვლინდა შეუსაბამობები.

IV. დავალების ხანგრძლივობა

პროექტის ფარგლებში გარემოსა და სოციალური საკითხების აუდიტი უნდა ჩატარდეს 2023 წლის თებერვლიდან და უნდა მოიცავდეს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

V. ანგარიშგება

ექსპერტი ანგარიშვალდებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

ექსპერტმა უნდა წარმოადგინოს:

- **წინასწარი ანგარიში,** სადაც აღწერილი იქნება შემოწმების მეთოდოლოგია და შემოწმების შედეგად გამოვლენილი წინასწარი შედეგები, მომსახურების დაწყებიდან 15 კალენდარულ დღეში.
- **საბოლოო ანგარიში,** სადაც გათვალისწინებული იქნება წინასწარ ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნები, მომსახურების დაწყებიდან 30 კალენდარულ დღეში.

ანგარიშები უნდა მომზადდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული ფორმატით და წარმოდგენილ იქნას ელექტრონული სახით პროგრამების გამოყენებით (მაგ. MS WORD, EXCEL, PDF და ა.შ.).

მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება (ელექტრონული ან ბეჭდური), გამოვლენილი პრობლემების წერილობით აღწერასთან და სხვა მასალებთან ერთად, უნდა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

პროექტთან დაკავშირებული მასალები და ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია განკუთვნილია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოსაყენებლად და დაუშვებელია სხვა მხარესათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

VI. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტის შერჩევა ძირითადად მოხდება შემდეგი სასურველი უნარებისა და ცოდნის შეფასებით:

ა) აკადემიური ხარისხი და მინიმუმ 8 წლიანი შესაბამისი სამუშაო გამოცდილება ერთ-ერთ შემდეგ სფეროში: სოციალური მეცნიერებები (სოციოლოგია/გეოგრაფია), საბუნებისმეტყველო მეცნიერება, სამართალი, ურბანული დაგეგმარება ან სამოქალაქო მშენებლობა;

ბ) მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება გარემოსა და სოციალური საკითხების მონიტორინგის და/ან განხორციელების კუთხით;

გ) გარემოსა და სოციალურ საკითხებზე მუშაოების გამოცდილება საერთაშორისო

საფინანსო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში; უპირატესობა მიენიჭება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს;

დ) საქართველოს გარემოსდაცვითი, აგრეთვე მიწის მართვის, რეგისტრაციისა და ექსპროპრიაციის კანონების, წესების და სტანდარტების ცოდნა.

ე) ქართული ან ინგლისური ენის საფუძვლიანად ცოდნა. უპირატესობა მიენიჭება ორივე ენის მაღალ დონეზე ცოდნას;

შერჩეულ ექსპერტს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის“ ფარგლებში.

VII. გადახდის პირობები

გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტის მომსახურება დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მომსახურების ღირებულებას გადაიხდის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც პროექტის განმახორციელებელ უწყებას წარმოადგენს.

ტექნიკურ ექსპერტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდები დაკავშირებული იქნება წარმოდგენილ ანგარიშებთან, ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით:

ანგარიში	წარმოდგენის ვადა	გადახდის პროცენტი
წინასწარი ანგარიში	15 კალენდარული დღე დაწყებიდან	30%
საბოლოო ანგარიში	30 კალენდარული დღე დაწყებიდან	70%

დანართი „A“

„SRAMP“-ის ფარგლებში გზების მონაკვეთების ჩამონათვალი

1. SRAMP/CW/NCB-05: ხიდისთავი-ატენი-ბოშურის გზა (კმ 12.4 - კმ 22.5)
2. SRAMP/CW/NCB-09: ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა (კმ16 – კმ25.5)
3. SRAMP/CW/NCB-10: ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა (კმ25.5 - კმ32)
4. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 1: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 35 - კმ 43.6 და კმ 47.2 - კმ 48 მონაკვეთები
5. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 2: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 54.0 - კმ 67.7 მონაკვეთი
6. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 3: ჩოხატაური-ბახმაროს გზის (შ81) კმ 15.9 - კმ 21.4 და კმ 22.5 - კმ 24.5 მონაკვეთები
7. SRAMP/CW/NCB-11 ლოტი 4: ჩოხატაური-ბახმაროს გზის (შ81) კმ 34 - კმ 50 მონაკვეთი
8. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 1: ჩოხატაური-ზომლეთის გზის (შ83) კმ 3.5 - კმ 13.8 მონაკვეთი
9. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 2: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის (შ02) კმ 17 - კმ 19.5 მონაკვეთი
10. SRAMP/CW/NCB-12 ლოტი 3: ოზურგეთი-ნატანები-ურეკის გზის (შ46) კმ 0.0 – კმ 2.8 მონაკვეთი
11. SRAMP/CW/NCB-13: თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები (კმ1 - კმ30).